საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო



საქართველოს შრომის ბაზრის ანალიზი

2018

სარჩევი

შესავალი 3
დასაქმებისა და უმუშევრობის ზოგადი დინამიკა 3
შრომის ბაზრის სტატისტიკა 4
კერძო სექტორის როლი დასაქმების მაჩვენებლებში 13
დასაქმება სექტორულ ჭრილში 15
მრეწველობა 15
ვაჭრობა 17
მშენებლობა 18
სოფლის მეურნეობა 19
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა 20
უძრავი ქონება 21
სასტუმროები და რესტორნები 22
საფინანსო სექტორი 23
2017 წელს HR.GE-ზე გამოქვეყნებული ვაკანსიების მიმოხილვა 26
დასკვნა 46
რეკომენდაციები 47

შესავალი

უმუშევრობის დონის შემცირება საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას და შესაბამისად, ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტს წარმოადგენს. ამასთან, კერძო სექტორის შემდგომი განვითარება და ზრდა უმუშევრობის შემცირების ყველაზე ეფექტიანი მექანიზმია. იმისათვის, რომ უმუშევრობის შემცირებისა და დასაქმების ზრდის მიმართულებით ეფექტიანი ეკონომიკური პოლიტიკა განხორციელდეს, მნიშვნელოვანია უმუშევრობისა და დასაქმების კომპონენტების ანალიზი, როგორც მიწოდების, ასევე, მოთხოვნის მიმართულებით.

წინამდებარე ანგარიში აანალიზებს დასაქმებისა და უმუშევრობის მიმართულებით არსებულ ტენდენციებს, მათ შორის სექტორულ, ასაკობრივ, გენდერულ და რეგიონულ ჭრილში. იგი მოიცავს შრომის ბაზრის მიწოდებისა და მოთხოვნის კომპონენტებს და ამასთან განსაზღვრავს იმ ძირითად სექტორებს, რომლებშიც განსაკუთრებით მაღალი ეკონომიკური აქტივობაა მოსალოდნელი მომდევნო წლებში, რაც თავის მხრივ, წარმოადგენს ამ სექტორებში დასაქმების ზრდის ერთ-ერთ აუცილებელ წინაპირობას. ანგარიშის ფარგლებში დაკვირვების პერიოდად განსაზღვრულია 2009-2017 წლები, რაც დაკავშირებულია საქართველოს ეკონომიკის პოსტ-კრიზისული გაჯანსაღების და ზრდის ეკონომიკურ ციკლთან. ანგარიშის ბოლოს წარმოდგენილია დასკვნა და რეკომენდაციები, რომლშიც მოცემულია შრომის ბაზრის წინაშე მდგარი გამოწვევები და სამუშაო ძალაზე მოთხოვნის ხედვა.

დასაქმებისა და უმუშევრობის ზოგადი დინამიკა

საქართველოში დასაქმების ზრდის ძირითად წყაროს კერძო სექტორი წარმოდგენს. შესაბამისად, დასაქმების შემდგომი ზრდისთვის მნიშვნელოვანია, რომ გაიზარდოს კერძო სექტორის აქტივობა და უზრუნველყოფილ იქნას მაღალი ეკონომიკური ზრდა. ამ თვალსაზრისით, ბოლო წლების ეკონომიკური ზრდის ანალიზისას, აშკარაა, რომ 2010 წლიდან საქართველოს ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი ინვესტიციები იყო, რომლის უდიდეს ნაწილს - 70%-ზე მეტს - კერძო ინვესტიციები შეადგენდა. აღნიშნული შესაბამისობაშია უმუშევრობის მაჩვენებლის შემცირების ტენდენციასთან 2010-2017 წლებში.


ამასთან აღსანიშნავია, რომ 2012 წლიდან, ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი სხვადასხვა ფაქტორის, მათ შორის, ძირითადად საგარეო ეკონომიკური შოკების ზეგავლენის შედეგად, ჩამორჩება მის პოტენციურ დონეს, რაც მიუთითებს, რომ ბიზნეს სექტორის ზრდა გარკვეულწილად ჩამორჩება პოტენციურ შესაძლებლობას და შესაბამისად მის მიერ ახალი სამუშაო ადგილების შექმნა და დასაქმების ზრდაზე გავლენა დამატებით პოტენციალს შეიცავს. ამასთან, 2017 წლის დასაწყისიდან საგარეო მოთხოვნის გაუმჯობესებისა და ნეგატიური ფაქტორების შერბილების შედეგად, გაუმჯობესდა ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი და გაიზარდა კერძო სექტორის აქტივობა, რამაც პოზიტიური გავლენა მოახდინა ბიზნეს სექტორში ახალი

სამუშაო ადგილების შექმნაზე. 2017 წელსს ბიზნეს სექტორში სამუშაო ადგილების რაოდენობა 6.2%-ით გაიზარდა.

ბოლო წლებში დაფიქსირებულმა ეკონომიკურმა ზრდამ ხელი შეუწყო უმუშევრობის დონის შემცირებას. 2009 წლის შემდეგ უმუშევრობის დონე შემცირების ტენდენციით ხასიათდება, თუმცა კვლავ მაღალია და 2017 წლის მონაცემებით 13.9%-ს შეადგენს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ წლებში დაფიქსირებული ეკონომიკური ზრდა დიდწილად მთლიანი პროდუქტიულობისა და კაპიტალის ზრდით იყო გამოწვეული, შესაბამისად შეზღუდული იყო გავლენა დასაქმებაზე.

შრომის ბაზრის სტატისტიკა


ბოლო წლებში უმუშევრობის დონის შემცირებას ძირითადად ქვეყნის ეკონომიკური ზრდა და გაზრდილი ეკონომიკური აქტივობით სამუშაო ძალაზე შექმნილი დამატებითი მოთხოვნა განაპირობებდა. აღნიშნული დასტურდება იმითაც, რომ 2010 წლის შემდეგ დასაქმების საშუალოწლიურმა ზრდამ 1.4% შეადგინა და ეს ზრდა ძირითადად დაქირავებით დასაქმებულთა ზრდით იყო განპირობებული. შედეგად, 2017 წელს უმუშევრობის დონემ 13.9% შეადგინა, რაც ბოლო 13 წლის განმავლობაში უმუშევრობის ყველაზე დაბალი მაჩვენებელია. მიუხედავად ამ მაჩვენებლისა, 2010-2017 წლებში, ეკონომიკაში დაფიქსირებული საინვესტიციო ნაკადების შედეგად მთლიანი კაპიტალის ფორმირების და მთლიანი პროდუქტიულობის ზრდის ფონზე, ეკონომიკური ზრდის აღნიშნული გავლენა დასაქმების რაოდენობრივ მაჩვენებლებზე საკმაოდ შეზღუდული იყო.



წყარო: საქსტატი

ამასთან სუსტი პოზიტიური ტენდენციები განვითარდა შრომის მიწოდების თვალსაზრისითაც, რომელთაგან განსაკუთრებით საყურადღებოა ბოლო წლებში **შრომისუნარიანი მოსახლეობისა და აქტიურობის დონის** კუთხით არსებული

დინამიკა. კერძოდ, ბოლო 10 წლის განმავლობაში შრომისუნარიანი მოსახლეობა კლების ტენდენციით გამოირჩევა, რაც განპირობებულია ზოგადად ქვეყანაში მოსახლეობის შემცირებით, მათ შორის გაზრდილი მიგრაციით. 2017 წელს გასულ წელთან შედარებით, ქვეყანაში სამუშაო ძალა 0.7%-ით შემცირდა და მოსახლეობის აქტიურობის დონეში[1] შესაბამისად 0.5 პროცენტული პუნქტით კლება დაფიქსირდა.




წყარო: საქსტატი

აქტიურობის დონისა და შრომისუნარიანი მოსახლეობის კლება დაფიქსირდა 2017 წელსაც, რამაც მნიშვნელოვნად იმოქმედა 2017 წლის დასაქმების დონის მაჩვენებელზე. 2017 წელს დასაქმების დონემ 56.7% (1 706.6 ათასი ადამიანი) შეადგინა, რაც 0.4 პროცენტული პუნქტით ნაკლებია გასული წლის მაჩვენებელთან (1 717.3 ათასი დასაქმებული) შედარებით. 2017 წელს, წინა წელთან შედარებით ქალაქის ტიპის დასახლებებში დასაქმების დონე შემცირებულია 1.5 პროცენტული პუნქტით, ხოლო სოფლის ტიპის დასახლებებში გაზრდილია - 0.8 პროცენტული პუნქტით. აღსანიშნავია, რომ შრომისუნარიანი მოსახლეობის კლება უკავშირდება მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგებს, რომლის მიხედვით ზოგადად შემცირდა საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა.


დასაქმების მიმართულებით მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება დასაქმებულთა განაწილება (თვითდასაქმება და დაქირავება). უნდა აღინიშნოს, რომ ტრადიციულად,

[1] სამუშაო ძალის აქტიურობის დონე ზომავს ქვეყნის შრომისუნარიანი მოსახლეობის წილს, რომელიც ეწევა აქტიურ შრომას ან დაკავებულია სამუშაოს ძიებით. იგი უზრუნველყოფს შრომის ძალის შესაძლო მიწოდების რაოდენობის განსაზღვრას პროდუქციის ან მომსახურების შესაქმნელად. სქესისა და ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით აქტიური მოსახლეობის დაყოფა იძლევა ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის განაწილების სურათს.

დასაქმებულებში ჭარბობს თვითდასაქმებულთა წილი. აღნიშნული მაჩვენებელი 2017 წელს 1.3 პროცენტული პუნქტით შემცირდა. ამასთან, თვითდასაქმებაში საკმაოდ მაღალია სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა ხვედრითი წილი. თვითდასაქმებულთა 82% სოფლის მეურნეობის სექტორზე მოდის. 2017 წელს, გასულ წელთან შედარებით, უმუშევრობის კლების ტენდენციასთან ერთად დასაქმების კლების ტენდენცია დაფიქსირდა, რაც თვითდასაქმებულთა რაოდენობის შემცირებით იყო განპირობებული. დაქირავებით დასაქმებულთა რაოდენობა კი გაიზარდა 2.8%-ით, ხოლო თვითდასაქმებულთა რაოდენობა შემცირდა 3.1%-ით. 2017 წელს თვითდასაქმებულებისა და დაქირავებით დასაქმებულების ხვედრითმა წილმა საერთო დასაქმებაში შესაბამისად 51.7% და 48.3% შეადგინა.




წყარო: საქსტატი




წყარო: საქსტატი

არანაკლებ მნიშვნელოვანია უმუშევრობა სქესობრივ ჭრილში, რომელიც შემდეგი ტენდენციით ხასიათდება: მამაკაცის უმუშევრობის დონე საგრძნობლად აღემატება ქალების უმუშევრობის დონეს, რაც სამუშაო ძალაში მამაკაცების მაღალი მონაწილეობით აიხსნება (მამაკაცებში აქტიურობის დონე 75%-ს, ხოლო ქალებში 58%-ს შეადგენს). ამასთან, საყურადღებოა, რომ 2017 წელს 2016 წელთან შედარებით უმუშევრობის დონე ქალებში 1.9 პროცენტული პუნქტით გაიზარდა, ხოლო კაცებში კი პირიქით - 1.6 პროცენტული პუნქტით შემცირდა და შესაბამისად 12.7% და 15.0% შეადგინა. აღნიშნული ქალების აქტიურობის დონის ზრდით აიხსნება, რამდენადაც დასაქმებულთა რაოდენობა ქალებში გაიზარდა, მამაკაცებში კი შემცირდა.




წყარო: საქსტატი

აღსანიშნავია, რომ ქალების აქტიურობის დონე 2016 წელთან შედარებით გაიზარდა და 2017 წელს 58.2% შეადგინა, ხოლო კაცებში აქტიურობის დონე შემცირებულია და 2017 წელს 74.6%-ს შეადგენს. ქვემოთ მოცემულია აქტიურობის დონის დინამიკა სქესობრივ ჭრილში.



წყარო: საქსტატი


უმუშევრობის სტრუქტურის ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა ახალგაზრდებში უმუშევრობის მაღალი დონეა. უმუშევრობის დონის განხილვა ასაკობრივ ჭრილში გვიჩვენებს, რომ 2017 წელს უმუშევრობის დონე ყველაზე მაღალი ნიშნული 20-24 წლის ასაკობრივ ჯგუფში შეადგინა (29.6%), რაც - 3.3 პროცენტული პუნქტით ნაკლებია 2016 წლის მაჩვენებელთან შედარებით. უმუშევრობის დონე ასევე მაღალია 15-19 წლის ასაკობრივი ჯგუფის ახალგაზრდებში და 2016-2017 წლების მონაცემებით შესაბამისად - 34.7%-ს და 27.1%-ს შეადგენს. აღნიშნული შეიძლება აიხსნას იმ გარემოებით, რომ საქართველოში ახალგაზრდები უმეტესწილად ეუფლებიან უმაღლეს განათლებას და სწავლის დასრულების შემდეგ ისინი აწყდებიან ორი სახის პრობლემას: 1) შრომის ბაზარზე არ არის მოთხოვნა მათ მიერ დაუფლებულ პროფესიებზე ან/და 2) მათი კვალიფიკაცია და სამუშაო გამოცდილება ვერ აკმაყოფილებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს. ამასთან, ამ კატეგორიაში გასათვალისწინებელია ფრიქციული უმუშევრობის წილიც, რადგან ახალგაზრდებს მეტი დრო სჭირდებათ სასურველი სამუშაოს საპოვნელად. უმუშევრობის დონე ტრადიციულად ყველაზე დაბალია 65+ ასაკობრივ ჯგუფში. ამის მიზეზია ის, რომ 65+ საპენსიო ასაკია და მოსახლეობის დიდი ნაწილი არ არის დასაქმებული, არ ეძებს სამუშაოს და შესაბამისად, არააქტიური მოსახლეობის კატეგორიას მიეკუთვნება.



წყარო: საქსტატი

რაც შეეხება დასაქმებისა და უმუშევრობის გეოგრაფიულ კონცენტრაციას, იგი ნათლად ასახავს ქვეყნის ეკონომიკის განვითარების დაბალანსების აუცილებლობას. უმუშევრობის დონე რეგიონების ჭრილში საკმაოდ განსხვავებულია. სამუშაო ადგილების შექმნა მჭიდროდ არის დაკავშირებული ქვეყანაში საინვესტიციო პროექტების არსებობასთან. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2017 წლის წინასწარი მონაცემებით ქვეყანაში განხორციელებულმა პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა 1 894.5 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 21%-ით მეტია 2016 წლის მაჩვენებელზე. ძალზედ დიდია სხვაობა რეგიონების მიხედვით მთლიანი

შიდა პროდუქტისა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განაწილების მხრივ, რაც აისახება სამუშაო ადგილების შექმნაზე, დასაქმების შესაძლებლობებსა და შრომით მიგრაციაზე. 2017 წელს განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 77.7% თბილისზე მოდის და შეადგენს 1 471.7 მლნ. აშშ დოლარს, მეორე ადგილზეა აჭარა 193.8 მლნ. აშშ დოლარით. აღსანიშნავია, რომ ქვეყნის ეკონომიკის მასშტაბით, მთლიანი დამატებული ღირებულების თითქმის ნახევარი თბილისში იქმნება. შესაბამისად, რეგიონების მიხედვით ეკონომიკური აქტივობისა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების არათანაბარზომიერი განაწილება გავლენას ახდენს შიდა მიგრაციაზე, სამუშაო ძალის მობილიზება ხდება კონკრეტულად დედაქალაქში, რაც თავის მხრივ ზრდის თბილისში უმუშევრობის დონეს. კერძოდ, ქვეყნის მასშტაბით უმუშევრობის დონე ყველაზე მაღალია თბილისში და 2017 წლის მონაცემებით 24.7%-ს შეადგენს.




წყარო: საქსტატი

2017 წელს წინა წელთან შედარებით უმუშევრობის დონე რეგიონულ ჭრილში გაზრდილია იმერეთის, ქვემო ქართლის, თბილისისა და შიდა ქართლის რეგიონებში. თბილისში, სადაც უმუშევრობის დონე ყველაზე მაღალია, აღნიშნული მაჩვენებელი 1.2 პროცენტული პუნქტით არის გაზრდილი. უმუშევრობის დონე ყველაზე მეტად შემცირებულია სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონსა და აჭარის ა.რ.-ში, შესაბამისად 3.3 და 5.8 პროცენტული პუნქტით.

2017 წელს წინა წელთან შედარებით, უმუშევართა რაოდენობა განათლების მიღწეული დონის მიხედვით შემცირებულია უმაღლესი და საშუალო განათლების მქონე პირებში, შესაბამისად 8,4% და 3,3%-ით (უმაღლესი განათლება: 2017წ.- 104.9 ათასი ადამიანი; 2016წ. - 114.5 ათასი ადამიანი; საშუალო განათლება: 2017წ.- 99.3 ათასი ადამიანი; 2016წ. - 102.7 ათასი ადამიანი), მაშინ, როცა ანალოგიურ პერიოდში


უმუშევართა რაოდენობა პროფესიული განათლების მქონე პირებში გაზრდილია 6,7%-ით (2017წ. – 57.2 ათასი ადამიანი; 2016წ. – 50.5 ათასი ადამიანი).

ამასთან, უმუშევრობის დონე განათლების მიღწეული დონის მიხედვით შემცირებულია უმაღლესი განათლების მქონე პირებში და 2016 წელს აღნიშნული მაჩვენებელი თუ 16.1%-ს შეადგენდა, 2017 წელს იგი 15.5%-მდე შემცირდა. პროფესიული განათლების მქონე პირებში უმუშევრობის დონე იმავე პროცენტულ მაჩვენებელზე (12.2%) იქნა შენარჩუნებული, ხოლო საშუალო განათლების მქონე პირებში უმუშევრობის დონე გაიზარდა, კერძოდ 2017 წელს აღნიშნულმა მაჩვენებელმა 14.4% შეადგინა, მაშინ როცა 2016 წელს იგი 13.4% იყო.



წყარო: საქსტატი


შრომის ბაზრის მიწოდების მხარის ანალიზისას, აუცილებელია ყურადღება გამახვილდეს ერთ-ერთ მთავარ დეტერმინანტზე, რასაც შრომის ანაზღაურება წარმოადგენს. დასაქმების ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას ეკონომიკური სექტორების მიხედვით ხელფასებს შორის განსხვავება წარმოადგენს. დადებით ტენდენციად შეიძლება ჩაითვალოს ბოლო წლებში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალოთვიური ნომინალური ხელფასის მკვეთრი ზრდა, რომელმაც 2017 წელს 999.1 ლარი შეადგინა.



წყარო: საქსტატი

მიუხედავად ხელფასის ზრდისა, მკვეთრი განსხვავებაა ხელფასებს შორის ეკონომიკურ საქმიანობათა სახეების მიხედვით, რაც მეტყველებს ზოგიერთ სექტორში დაბალ შრომის ნაყოფიერებაზე. მაღალია ანაზღაურება შემდეგ სექტორებში: საფინანსო საქმიანობა, ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა, მშენებლობა, ელექტროენერგიის, აირისა და წყლის წარმოება და განაწილება. დაბალია ანაზღაურება შემდეგ სექტორებში: განათლება, სასტუმროები და რესტორნები, სოფლის მეურნეობა, ნადირობა და სატყეო მეურნეობა.


შრომის ბაზრის ანალიზისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს მიგრაციის საკითხებზე, რამდენადაც ეს მნიშვნელოვანია შრომითი რესურსების ადეკვატურობისა და მათზე წვდომის თვალსაზრისით. 2006 წლიდან მოყოლებული საგრძნობი ცვალებადობა შეინიშნება მიგრაციულ სალდოსთან დაკავშირებით, რაც წარმოაჩენს არაერთგვაროვან სურათს. 2017 წელს, ემიგრანტების რიცხოვნობამ 85.5 ათასი ადამიანი შეადგინა, რაც 2016 წლის მაჩვენებელზე 7.4%-ით ნაკლებია. იმავე პერიოდში, იმიგრანტების რიცხოვნობა წინა წელთან შედარებით 7.7%-ით შემცირდა და 83.2 ათასი კაცი შეადგინა. შედეგად, 2017 წელს მიგრაციული სალდოს (სხვაობა იმიგრანტებისა და ემიგრანტების რიცხოვნობას შორის) უარყოფითი მაჩვენებელი - 2.2 ათასი კაცის დონეზე დაფიქსირდა. თუმცა, დადებით ტენდენციად შეიძლება ჩაითვალოს 2016-2017 წლებში მიგრაციული სალდოს შემცირება.



წყარო: საქსტატი


კერძო სექტორის როლი დასაქმების მაჩვენებლებში

შრომის ბაზრის მიწოდების კომპონენტის მოცემული სტრუქტურის პირობებში, კერძო სექტორის მიერ შრომითი რესურსების ეფექტიანად გამოყენების საკითხი მნიშვნელოვან როლს იძენს. შესაბამისად, ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ახალ ეტაპთან ერთად აუცილებელია განხორციელდეს შრომის ბაზრის სტრუქტურის გაუმჯობესებაზე ორიენტირებული ეკონომიკური პოლიტიკა და გაიზარდოს კერძო სექტორის მოთხოვნა შრომით რესურსებზე ამ სექტორში პროდუქტიულობის ზღვრული დონის მიღწევის პარალელურად. ამასთან მნიშვნელოვანია, რომ ეს პროცესი განხორციელდეს დაბალანსებულად სექტორებს შორის.



წყარო: საქსტატი

ეკონომიკის სექტორული ანალიზი ცხადყოფს, რომ ქვეყნის ეკონომიკის მთლიანი პროდუქტიულობის სწრაფი ზრდის მიუხედავად, მნიშვნელოვნად დაბალია პროდუქტიულობის დონე გარკვეულ სექტორებში, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობის სექტორში.



წყარო: საქსტატი

ზემოაღნიშნულის ერთ-ერთ მიზეზს სოფლის მეურნეობის სექტორში მაღალი თვითდასაქმების მაჩვენებელი წარმოადგენს. მთლიანი დასაქმების თითქმის ნახევარი სოფლის მეურნეობის სექტორზე მოდის. ამასთან, სოფლის მეურნეობის სექტორი ქმნის მთლიანი შიდა პროდუქტის მხოლოდ 9%-ს. შესაბამისად, აუცილებელია, რომ აღნიშნული პრობლემის დაძლევისათვის და სექტორის ეფექტიანობის ზრდისთვის გაუმჯობესდეს სექტორებს შორის შრომის მობილობის მაჩვენებელი.

სოფლის მეურნეობის სექტორისგან განსხვავებით, ბიზნეს სექტორის აქტივობის ზემოქმედება ეკონომიკურ ზრდასა და შესაბამისად დასაქმებაზე ნათლად იკვეთება ეკონომიკის სხვა სექტორების მიხედვით. 2010-2017 წლების საშუალო ეკონომიკურ ზრდაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ვაჭრობის, დამამუშავებელი მრეწველობის და მშენებლობის სექტორებმა. შესაბამისად, ამ სექტორებში დაფიქსირდა დასაქმების ზრდა. კერძოდ, 2017 წლის მონაცემების მიხედვით, ბიზნეს სექტორის დასაქმების 55% მოდის ვაჭრობის (26%), მრეწველობის (18%) და მშენებლობის (11%) სექტორებზე.

ბოლო წლების განმავლობაში, კერძო სექტორის გაზრდილი აქტივობა ასევე განაპირობა პოზიტიურმა ტენდენციებმა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების თვალსაზრისით. საქართველო რეგიონის ქვეყნებს შორის გამოირჩევა საინვესტიციო მიმზიდველობით. შესაბამისად, საქართველოში შეინიშნება პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მნიშვნელოვანი ზრდა. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინება ხელს უწყობს არამხოლოდ ეკონომიკური აქტივობის და დასაქმების

ზრდას, არამედ ცოდნის და ტექნოლოგიების ტრანსფერს და შიდა ინვესტიციების მსგავსად პოზიტიური გავლენა აქვს პროდუქტიულობის ზრდაზე.

2017 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინების კუთხით გამოირჩეოდნენ ტრანსპორტის და კავშირგაბმულობის, საფინანსო საქმიანობის, მშენებლობის, ენერგეტიკის, უძრავი ქონების და დამამუშავებელი მრეწველობის სექტორები. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული სექტორები ასევე გამოირჩევიან ერთ დასაქმებულზე პროდუქტიულობის ყველაზე მაღალი დონით. პროდუქტიულობის ზრდის პარალელურად აღნიშნულ სექტორებში, ასევე ფიქსირდება მაღალი შრომის ანაზღაურება. სახელმწიფო სექტორთან შედარებით შრომის ანაზღაურების საშუალო მაჩვენებელი უფრო მაღალია კერძო სექტორში.

დასაქმება სექტორულ ჭრილში

ქვეყანაში სექტორების მიხედვით დასაქმებულთა რაოდენობა მკვეთრად არათანაბრადაა გადანაწილებული. სოფლის მეურნეობის სექტორში თავმოყრილია თვითდასაქმებულთა უდიდესი ნაწილი. ქვეყნის მთლიან დასაქმებაში მრეწველობის სექტორში დასაქმება შეადგენს 8%-ს, ხოლო მომსახურების სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა 40%-ს აჭარბებს. მომსახურების სექტორებს შორის, თავის მხრივ, გამოირჩევა ვაჭრობის (10%) და განათლების სექტორები (9%).


რაც შეეხება ბიზნეს სექტორში დასაქმებულებს, დასაქმების ყველაზე მაღალი წილით ვაჭრობის (26%), მრეწველობის (18%) და მშენებლობის (11%) სექტორები გამოირჩევა. სოფლის მეურნეობის და უძრავი ქონების სექტორებს ყველაზე დაბალი წილი უჭირავთ, რაც გამოწვეულია ამ სექტორებში თვითდასაქმების მაღალი დონით.

მრეწველობა

მრეწველობის სექტორი უზრუნველყოფს მთლიანი დასაქმების 8,3%-ს, ხოლო ბიზნეს სექტორის დასაქმების 18,5%-ს. თავის მხრივ, მრეწველობის სექტორის დასაქმების ძირითადი ნაწილი დამამუშავებელ მრეწველობაზე მოდის, რომელიც მრეწველობის სექტორის დასაქმების დაახლოებით 70%-ს შეადგენს.

ბიზნესის სტატისტიკის ახალი კლასიფიკაციის შესაბამისად[2], მრეწველობის სექტორში დასაქმებულთა ნახევარზე მეტი მცირე და საშუალო ზომის საწარმოებშია დასაქმებული.


[2] ახალი კლასიფიკაციის მიხედვით, საშუალო ზომის საწარმოებს მიეკუთვნება ყველა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმო, რომელშიც დასაქმებულთა საშუალოწლიური რაოდენობა მერყეობს 50-დან 250 კაცამდე დ ა საშუალოწლიური ბრუნვის მოცულობა – 12 მლნ. ლარიდან 60 მლნ. ლარამდე, ხოლო მცირე ზომის საწარმოებს მიეკუთვნება ყველა ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმის საწარმო, რომელშიც დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა არ აღემატება 50 დასაქმებულს და საშუალო წლიური ბრუნვის მოცულობა არ აღემატება 12 მლნ. ლარს.



წყარო: საქსტატი

დამამუშავებელი მრეწველობის და ენერგეტიკის სექტორები ბოლო წლების განმავლობაში გამოირჩეოდნენ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინებით, რამაც ხელი შეუწყო პროდუქტიულობის ზრდას ამ სექტორებში.

მთლიანად ეკონომიკაში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალოთვიურ ნომინალურ ხელფასთან შედარებით მაღალია შრომის ანაზღაურება ენერგეტიკის და სამთომოპოვებით სექტორში.



წყარო: საქსტატი

მომდევნო წლების განმავლობაში, დამამუშავებელი მრეწველობის და ენერგეტიკის სფეროში საინვესტიციო პროექტების განხორციელება ხელს შეუწყობს დასაქმების ზრდას ამ სექტორებში და გაიზრდება მოთხოვნა შესაბამისი კვალიფიკაციის სამუშაო ძალაზე. მხოლოდ ენერგეტიკის სექტორში, 2019-2026 წლებში დაგეგმილი პროექტების ჯამური საინვესტიციო ღირებულება დაახლოებით 7.8 მლრდ. აშშ დოლარს შეადგენს, რაც აუცილებლად მისცემს სერიოზულ ბიძგს დარგში სამუშაო ადგილების შექმნას.


დამამუშავებელი მრეწველობის კუთხით დაგეგმილია თვითმფრინავების კომპოზიტური ნაწილების, ენერგოეფექტური ბლოკების, მეტალის ნაწილების და სხვა წარმოების დაწყება, რომელთა ჯამური საინვესტიციო ღირებულება დაახლოებით 200 მლნ. აშშ დოლარს შეადგენს. გარდა ამისა, ზრდით ხასიათდება მსუბუქი მრეწველობის სფერო, განსაკუთრებით ტექსტილის ინდუსტრია, ასევე ავეჯის წარმოება, რაც ამ დარგებში კვალიფიციურ სამუშაო ძალაზე მოთხოვნას შემდეგ წლებშიც დააგენერირებს.

ვაჭრობა

ვაჭრობის სექტორი უზრუნველყოფს მთლიანი დასაქმების 10%-ს და ბიზნეს სექტორის დასაქმების 26%-ს. 2010-2017 წლებში ვაჭრობის სექტორმა შეიტანა ყველაზე მაღალი წვლილი ბიზნეს სექტორის დასაქმების ზრდაში.

აღნიშნულ სექტორში მთლიანი დასაქმების და ბიზნეს სექტორის დასაქმების მონაცემები რამდენადმე განსხვავდება ერთმანეთისგან, რაც ამ სექტორში არაფორმალურ დასაქმებაზე მიანიშნებს, თუმცა, სხვაობა თანდათან მცირდება, რაც არაფორმალურიდან ფორმალურ დასაქმებაში გადასვლის შედეგია.


ბიზნეს სექტორის მონაცემებზე დაყრდნობით, ვაჭრობის სექტორის დასაქმების 60%-ზე მეტი მცირე ზომის საწარმოებზე მოდის. ყველაზე მცირე ნაწილი კი საშუალო ზომის საწარმოებშია დასაქმებული.



წყარო: საქსტატი

ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით დასაქმებულთა ყველაზე დიდი წილი საცალო და საბითუმო ვაჭრობაზე მოდის, ყველაზე მცირე ნაწილი კი ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტზე.

ვაჭრობის სექტორის დასაქმებულთა უდიდესი ნაწილი თბილისში, აჭარასა და იმერეთშია დასაქმებული. საშუალო მაჩვენებელთან შედარებით დაბალია შრომის ანაზღაურება ვაჭრობის სექტორში.




წყარო: საქსტატი

საცალო ვაჭრობის კუთხით განხორციელებულმა აქტივობებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა აღნიშნული სექტორის განვითარებაში. აღსანიშნავია 2017 წელს მსხვილი სავაჭრო ცენტრის "გალერეა თბილისი"-ს გახსნა, რომლის საინვესტიციო ღირებულება 70 მლნ. აშშ დოლარს შეადგენს. ამასთანავე, ტურიზმის სექტორის სწრაფ ზრდასთან ერთად მოსალოდნელია აღნიშნული სექტორის შემდგომი განვითარება.

მშენებლობა


მშენებლობის სექტორი მთლიანი დასაქმების 5%-ს და ბიზნეს სექტორის დასაქმების 11%-ს შეადგენს.



წყარო: საქსტატი

ბიზნეს სექტორის მონაცემებზე დაყრდნობით, მშენებლობის სექტორში დასაქმებულთა ყველაზე დიდი ნაწილი მცირე ზომის საწარმოებშია დასაქმებული.

მშენებლობის სექტორი გამოირჩეოდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინებით და პროდუქტიულობის დონე ამ სექტორში ბიზნეს სექტორის საშუალო პროდუქტიულობის დონეზე მაღალია. პროდუქტიულობასთან ერთად, მაღალია აღნიშნულ სექტორში საშუალო შრომის ანაზღაურება.



წყარო: საქსტატი

2017-2020 წლებში, ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობის მიზნით დაგეგმილია ინფრასტრუქტურული პროექტების დაჩქარება. მხოლოდ 2019 წელს ინფრასტრუქტურული პროექტების, მათ შორის გზების მშენებლობა-განვითარების, მყარი ნარჩენების ინტეგრირებული მართვის სამელიორაციო და წყლის ინფრასტრუქტურის მიმართულებით - 2 მლრდ. ლარზე მეტი ინვესტიციის განხორციელება არის დაგეგმილი.

მთის კურორტების განვითარების მიმართულებით 2019 წელს დაგეგმილი პროექტების მოცულობა კი დაახლოებით 178 მლნ. ლარს შეადგენს.

შესაბამისად, გაიზრდება მოთხოვნა მშენებლობის სფეროში როგორც მაღალკვალიფიციურ კადრებზე, ისე შედარებით დაბალი კვალიფიკაციის სამუშაო ძალაზე.

ამასთანავე, ძირითადი ინფრასტრუქტურის განვითარებას გააჩნია პოზიტიური გადადინებითი ეფექტი სხვადასხვა სექტორის განვითარებაზე, ამცირებს კერძო სექტორის ლოგისტიკურ ხარჯებს და ასტიმულირებს კერძო ინვესტიციებს.

სოფლის მეურნეობა

სოფლის მეურნეობის სექტორში დასაქმებულთა თითქმის ნახევარია დასაქმებული, თუმცა, მხოლოდ 2%-ია მისი წილი ბიზნეს სექტორის დასაქმებაში, რაც აღნიშნულ სექტორში თვითდასაქმებულთა მაღალი ხვედრითი წილით აიხსნება.


სხვა სექტორებთან შედარებით სოფლის მეურნეობის სექტორში ყველაზე დაბალია პროდუქტიულობის მაჩვენებელი. შესაბამისად, აღნიშნული სექტორის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია ტექნოლოგიებისა და კაპიტალის ფორმირების

ზრდა და სამუშაო ძალის გადადინება სხვა სექტორებში. ასევე საყურადღებოა, სოფლის განვითარების ერთიანი პოლიტიკის ფარგლებში, 2018-2020 წლების სამთავრობო პროგრამაში დაგეგმილ აქტივობათა (*სასოფლო-სამეურნეო დარგში კოოპერაციის განვითარების მხარდაჭერა; დამატებული ღირებულების შემქმნელი სრული ციკლის შემადგენელი კომპონენტების ინტეგრაციის მიზნით, მოსავლის შემნახველი, დამახარისხებელი, შემფუთავი, გადამამუშავებელი და სადისტრიბუციო სექტორების განვითარების სახელმწიფო ხელშეწყობა, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ხელმისაწვდომობის ამაღლების ხელშეწყობა*) განხორციელება, სოფლად ეკონომიკური აქტიურობის ზრდის მიზნით.

ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა

ტრანსპორტირება/დასაწყობების და ინფორმაცია/კომუნიკაციებისა სექტორები უზრუნველყოფენ მთლიანი დასაქმების 5.3%-ს და ბიზნეს სექტორის დასაქმების 11%-ს.


ბიზნეს სექტორის მონაცემებზე დაყრდნობით ტრანსპორტისა და დასაწყობების სექტორში დასაქმებულთა ყველაზე დიდი ნაწილი მსხვილი ზომის საწარმოებშია დასაქმებული.



წყარო: საქსტატი

აღნიშნულ სექტორში საქმიანობის სახეების მიხედვით კი დასაქმებულთა ნახევარზე მეტი სახმელეთო ტრანსპორტის და მილსადენებით ტრანსპორტირებაზე, ყველაზე მცირე ნაწილი - 1% კი საჰაერო ტრანსპორტზე მოდის.

ტრანსპორტის და კავშირგაბმულობის სექტორი იკავებს პირველ ადგილს 2010-2017 წლებში ინვესტიციების საშუალოწლიური შემოდინების მხრივ. განსაკუთრებით მაღალი იყო მისი წილი მთლიან ინვესტიციებში 2015, 2016 და 2017 წლებში. ასევე მაღალია პროდუქტიულობის დონე და საშუალოთვიური ანაზღაურება აღნიშნულ სექტორში.



წყარო: საქსტატი

ქვეყნის სატრანზიტო პოტენციალის გაზრდის მიზნით მიმდინარეობს და დაგეგმილია მსხვილი პროექტების განხორციელება, რომელიც ხელს შეუწყობს ამ სექტორში დასაქმების ზრდას. აღნიშნული პროექტები მოიცავს: ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის, ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო ხაზის და აღმოსავლეთ-დასავლეთის მაგისტრალის მშენებლობას, რკინიგზის მოდერნიზაციასა და ლოგისტიკური ცენტრების განვითარებას. მთლიანობაში ანაკლიის პორტის მშენებლობის ფარგლებში დაგეგმილია 2.5 მლრდ. აშშ დოლარის, ხოლო პირველი ფაზისთვის, რომელიც 2020 წელს დასრულდება, 600 მლნ. აშშ დოლარის ინვესტირება. ლოგისტიკური ცენტრების მშენებლობის პირველი ფაზისთვის კი მოსალოდნელია 75 მლნ. აშშ დოლარზე მეტის ინვესტირება.


უძრავი ქონება

მცირეა უძრავი ქონების წილი მთლიან დასაქმებაში და 0.2%-ს შეადგენს, თუმცა, შედარებით მაღალია აღნიშნული სექტორის წილი ბიზნეს სექტორის დასაქმებაში და 2.5%-ს უტოლდება. აღნიშნული სხვაობა შეიძლება გამოწვეული იყოს ინდივიდების რამდენიმე ადგილას დასაქმებით[3].

ბიზნეს სექტორის მონაცემებზე დაყრდნობით, 2010-2017 წლებში თითქმის გაორმაგდა აღნიშნულ სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა. ბოლო წლების განმავლობაში, უძრავი ქონების სექტორი ერთ-ერთ სწრაფად მზარდ სექტორს წარმოადგენს და მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდაში. დასაქმებულთა ყველაზე მაღალი ზრდა დაფიქსირდა 2011 წელს. ამ წელს დაფიქსირდა ყველაზე მაღალი რეალური ზრდა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ყველაზე დიდი მოცულობა აღნიშნულ სექტორში.

[3] ინდივიდების გარკვეული ნაწილისთვის ოპერაციები უძრავი ქონებით ძირითად საქმიანობას არ წარმოადგენს, შესაბამისად შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის მიხედვით ისინი სხვა სექტორის დასაქმებულებში ხვდებიან.

მაღალი რეალური ზრდის და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინებასთან ერთად მნიშვნელოვნად გაიზარდა შრომის ანაზღაურებაც აღნიშნულ სექტორში.




წყარო: საქსტატი

სასტუმროები და რესტორნები

დასაქმება სასტუმროებისა და რესტორნების სექტორში მთლიანი დასაქმების 2.2%-ს, ხოლო ბიზნეს სექტორის დასაქმების 6%-ს შეადგენს. 2017 წელს სასტუმროებისა და რესტორნების სექტორის წვლილი ეკონომიკურ ზრდაში საშუალოდ 0.3 პპ-ს უტოლდება.


ტურიზმი ეკონომიკის ერთ-ერთი სწრაფად მზარდი სექტორია და შესაბამისად, მოთხოვნაც მზარდია სამუშაო ძალაზე სასტუმროებისა და რესტორნების მხრიდან. ბიზნეს სექტორის სტატისტიკის მიხედვით, 2017 წელს დასაქმებულთა რაოდენობა 162%-ით არის გაზრდილი 2010 წელთან შედარებით. დარგის განვითარებისა და ტურიზმის ზრდის კვალდაკვალ, მოსალოდნელია დასაქმებულთა რაოდენობის შემდგომი ზრდა.



წყარო: საქსტატი

ბიზნეს სექტორის მონაცემებზე დაყრდნობით, სასტუმროებისა და რესტორნების სექტორში დასაქმებულთა ყველაზე დიდი ნაწილი მცირე ზომის საწარმოებშია დასაქმებული, რეგიონულ ჭრილში კი უდიდესი ნაწილი თბილისში, აჭარასა და იმერეთშია დასაქმებული.


მომდევნო წლებში დაგეგმილია მნიშვნელოვანი ინვესტიციის განხორციელება სასტუმროების სექტორში. აღსანიშნავია, რომ სასტუმროებისა და რესტორნების სექტორში საშუალოთვიური შრომის ანაზღაურება საშუალო მაჩვენებელზე დაბალია. თუმცა, ტურისტული ინფრასტრუქტურის შემდგომი განვითარებისა და მომსახურების ხარისხის ამაღლების კვალდაკვალ, ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების ზრდის ფონზე, მოსალოდნელია შრომის ანაზღაურების შემდგომი ზრდა აღნიშნულ სექტორში.



წყარო: საქსტატი

საფინანსო სექტორი

საფინანსო სექტორი ერთ-ერთი სწრაფად მზარდი სექტორია და მისი წვლილი ეკონომიკურ ზრდაში საშუალოდ 0.4 პპ-ს შეადგენს. საფინანსო სექტორი მთლიანი დასაქმების 1.8%-ს უზრუნველყოფს, შრომის ანაზღაურება კი საშუალო ხელფასს თითქმის ორჯერ აღემატება.



წყარო: საქსტატი

საფინანსო სექტორის დივერსიფიცირებულობის ზრდასა და შემდგომი განვითარების კვალდაკვალ გაიზრდება მოთხოვნა მაღალკვალიფიციურ სამუშაო ძალაზე.

განსაკუთრებით ფართომასშტაბიანი ცვლილებებია მოსალოდნელი კაპიტალის ბაზრის განვითარების მიმართულებით. მომდევნო წლებში, საპენსიო რეფორმის განხორციელების შედეგად აკუმულირებული საპენსიო აქტივების მართვა და ინვესტირება მნიშვნელოვნად გაზრდის მოთხოვნას საქართველოში შექმნილ (ემიტირებულ) ფინანსურ ინსტრუმენტებზე, რაც საბოლოო ჯამში განავითარებს ფინანსურ და საბროკერო, ასევე ზოგადად საფინანსო საქმიანობას. აღნიშნული გულისხმობს, რომ გაიზრდება მოთხოვნა ახალი სპეციალიზებული პროფესიის და მაღალი კვალიფიკაციის სამუშაო ძალაზე. ამავე დროს აღსანიშნავია სადაზღვევო ბაზრის მასშტაბების ზრდაც, სადაც ახალი პროდუქტების გაჩენის ფონზე, ასევე გაიზრდება მოთხოვნა მაღალი კვალიფიკაციის სამუშაო ძალაზე.

საყურადღებოა, რომ მომდევნო წლებში მაღალი ეკონომიკური აქტივობაა მოსალოდნელი მთელი რიგი სექტორების მიხედვით. კერძოდ:


- ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება **ენერგეტიკის სექტორია**, რომლის ფარგლებშიც დაგეგმილია გენერაციის ახალი ობიექტების მშენებლობა, კერძოდ, იგეგმება მსხვილი პროექტების განხორციელება ჰიდრორესურსების დამატებითი ათვისების მიმართულებით, ასევე დაგეგმილია არსებული თბოელექტროსადგურების სიმძლავრეების გაუმჯობესება და ორი ახალი თბოსადგურის მშენებლობა. უნდა აღინიშნოს, ასევე, ქარის და მზის ენერგიის მიმართულებაც. კერძოდ, დაგეგმილია ქარის ხუთი ელექტროსადგურის მშენებლობა. ენერგეტიკის სექტორში ენერგოეფექტურობის პოლიტიკის განხორციელება ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებშიც იგეგმება მთელი რიგი აქტივობები ენეგოეფექტური ტექნოლოგიების ინდუსტრიაში დანერგვის, შენობების და ასევე, საყოფაცხოვრებო ტექნიკის ენერგოეფექტურობის უზრუნველყოფის მიმართულებებით. საგულისხმოა, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულს მნიშვნელოვანი პოზიტიური ეფექტი ექნება ადგილობრივი წარმოების ზრდის ხარჯზე ენერგო რესურსების იმპორტის შემცირების კუთხით.
- ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა **ტრანსპორტისა და ლოგისტიკის სექტორი**, კერძოდ, სანავსადგურო ინფრასტრუქტურის (ანაკლიის ახალი პორტი, ფოთისა და ბათუმის ნავსადგურების გაფართოვება), სარკინიგზო ინფრასტრუქტურის (რკინიგზის მოდერნიზება, ბაქო-თბილისი-ყარსის ახალი სარკინიგზო ხაზი), სახმელეთო ტრანსპორტის, სამოქალაქო ავიაციისა და ლოგისტიკური სერვისების განვითარების კუთხით დაგეგმილი პროექტები.

- აღსანიშნავია, ასევე, **სამთო-მოპოვებითი მრეწველობის სექტორი,** რომლის ფარგლებშიც, მათ შორის, ნავთობისა და გაზის სფეროში, მთელი რიგი აქტივობებია დაგეგმილი და ამ კუთხითაც მნიშვნელოვანი პროგრესია მოსალოდნელი.
- ასევე, **ერთ-ერთი პრიორიტეტული საინვესტიციო სექტორია დამამუშავებელი მრეწველობის სექტორი,** მათ შორის, უნდა აღინიშნოს მნიშვნელოვანი პოტენციალი ტანსაცმლის, ფეხსაცმლის და ტყავის წარმოების, ავეჯის წარმოების, ავტო და საჰაერო სატრანსპორტო საშუალებების, კომპიუტერების, ელექტრონული და ელექტრული მოწყობილობების, სოფლის მეურნეობაში მაღალი ღირებულების მქონე საექსპორტო პროდუქტების - კენკროვნის, თხილის, ბოსტნეულის, ხილის, ასევე, თევზის მრეწველობის და მესაქონლეობის მიმართულებებით.
- მნიშვნელოვანია **ტურიზმის სფეროში**, მათ შორის, მთის კურორტების განვითარების მიმართულებით განსახორციელებელი მთელი რიგი აქტივობები.
- აღსანიშნავია დაგეგმილი ღონისძიებები **წიაღისეულის პოტენციალის ათვისების ზრდის** მიმართულებით. ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება, რომლის განვითარების მიზნით ქვეყანა მნიშვნელოვანი მსხვილი პროექტების განხორციელებას გეგმავს, **ინოვაციების და ტექნოლოგიების** სექტორია. ადგილობრივი ტექნოლოგიების განვითარებას, კვლევისა და ინოვაციების ხელშეწყობას, ინოვაციური მეწარმეობის და ამ სექტორში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინებას მნიშვნელოვანი პოზიტიური ეფექტი ექნება ქვეყნის ეკონომიკის სწრაფ, გრძელვადიან და მდგრად განვითარებაზე.

2017 წელს HR.GE-ზე გამოქვეყნებული ვაკანსიების მიმოხილვა

2017 წელს დასაქმების კერძო სააგენტოს - HR.GE მიერ გამოქვეყნებული ვაკანსიების უმრავლესობა (34,2%) მომსახურებებისა და გაყიდვების სფეროში დასაქმებულ პირებზე მოდის. ვაკანსიების მხრივ საკმაოდ მაღალია ასევე სპეციალისტების (17,2%), ტექნიკოსებისა (13%) და ოფისის დამხმარე პერსონალის (11,8%) ხვედრითი წილი. ძირითადი ჯგუფების მიხედვით ვაკანსიების ამდაგვარი გადანაწილება მეტყველებს იმაზე, რომ ვაკანსიები უმრავლეს შემთხვევაში მოითხოვს საშუალო დონის უნარებს - 53,7% (საშუალო განათლების შემდგომი განათლება), რასაც მოჰყვება უმაღლესი - 36,9% (უმაღლესი განათლება) და დაბალი დონის უნარებზე - 9,4% (დაწყებითი და საბაზო განათლება) მოთხოვნა.

2017 წელს HR.GE-ზე გამოქვეყნებული ვაკანსიები ძირითადი ჯგუფების მიხედვით



მომსახურებისა და გაყიდვების სფეროში ვაკანსიების სიმრავლე განპირობებულია უშუალოდ გაყიდვების სფეროში დასაქმებულ პირებზე (81.4%) მაღალი მოთხოვნით, კერძოდ მაღალია მოთხოვნა მაღაზიის კონსულტანტ-გამყიდველებისა (6615) და მოლარეების (1630) პოზიციებზე. ასევე მაღალია მოთხოვნა მიმტანებზე (744), დაცვის სამსახურის მუშაკებზე (476), დამლაგებლებსა (316) და ბარმენებზე (306). ზემოთ ხსენებულ ელემენტარულ ჯგუფებზე საკვალიფიკაციო მოთხოვნა უმრავლეს

შემთხვევაში ითვალისწინებს პროფესიულ განათლებას. ვაჭრობის სფეროს პროფესიულ ჯგუფებზე ვაკანსიების რაოდენობა შესაძლოა განპირობებული იყოს შიდა დარგობრივი და დარგთაშორისი კონკურენციის პირობებში სამუშაო ძალის მაღალი მობილობით, რადგან წარმოდგენილი პროფესიული ჯგუფები არ გამოირჩევიან მაღალი ანაზღაურებით და მათ მიერ სამსახურის ხშირი ცვლილება ზრდის ვაკანსიების რაოდენობას.

ვაჭრობა დასაქმების მხრივ ერთ-ერთ მოწინავე ეკონომიკური სექტორია. „უნარებზე საწარმოთა მოთხოვნის კვლევის" მიხედვით, 2017 წელს ვაჭრობაში დასაქმებული იყო ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა 24,9%. ამავე კვლევამ აჩვენა, რომ 2017 წელს ყველაზე მეტი ვაკანსია (7256 ერთეული) გამოცხადდა ვაჭრობის სექტორში და საგრძნობლად გაიზარდა (10,8%) დასაქმება გასულ წელთან შედარებით. ვაკანსიების სიმრავლე განაპირობა სექტორში საწარმოების რაოდენობამ და თუ შევხედავთ ვაჭრობის სექტორში ერთი საწარმოს მიერ საშუალოდ გამოცხადებული ვაკანსიების მაჩვენებელს, იგი საკმაოდ დაბალია და 2017 წელს შეადგინა 2,4.

ძირითადი ჯგუფი: მომსახურებებისა და გაყიდვების სფეროებში დასაქმებული პირები

გამოცხადებული ვაკანსიები ქვეჯგუფებისა და ელემენტარული ჯგუფების მიხედვით

კოდი	ქვეჯგუფი	ვაკანსიების რაოდენობა	ვაკანსიების წილი
51	პირადი მომსახურების მუშები	1599	14.3%
52	გაყიდვების სფეროში დასაქმებული პირები	9116	81.4%
54	მოსახლეობისა და საკუთრების დამცველი სამსახურების მუშაკები	483	4.3%
	სულ	**11198**	

კოდი	ელემენტარული ჯგუფი	ვაკანსიების რაოდენობა	ვაკანსიების წილი
5113	გიდები	46	2.9%
5131	მიმტანები	744	46.5%
5132	ბარმენი	306	19.1%
5141	სტილისტი	86	5.4%
5142	კოსმეტოლოგები და მონათესავე სფეროში დასაქმებული პირები	101	6.3%
5151	ოფისებში, სასტუმროებსა და სხვა დაწესებულებებში დასუფთავებისა და დალაგების საკითხების ზედამხედველები	316	19.8%
	სულ	**1599**	

კოდი	ელემენტარული ჯგუფი	ვაკანსიების რაოდენობა	ვაკანსიების წილი
5223	მაღაზიების კოსულტანტ-გამყიდველები	6615	72.6%
5230	მოლარეები და ბილეთების გამყიდველ-კონტროლიორები	1630	17.9%
5242	გაყიდვების წარმომადგენლები	394	4.3%
5245	მომსახურების პუნქტების მუშები	220	2.4%
5249	სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი გაყიდვების სფეროს მუშაკები	257	2.8%
	სულ	**9116**	

კოდი	ელემენტარული ჯგუფი	ვაკანსიების რაოდენობა	ვაკანსიების წილი
5411	მეხანძრეები	5	1.0%
5412	პოლიციელები	1	0.2%
5414	უსაფრთხოების სამსახურის დაცვის მუშაკები	476	98.8%
	სულ	**482**	

2017 წელს HR.GE-ზე გამოქვეყნებული ვაკანსიების 17,2%-ს სხვადასხვა დარგის სპეციალისტები შეადგენს. სპეციალისტების ქვეჯგუფში წარმოდგენილი ვაკანსიები დაკავშირებულია მაღალინტელექტუალურ შრომასთან და საკვალიფიკაციო მოთხოვნაა უმაღლესი განათლება. სპეციალისტებიდან ყველაზე მეტი ვაკანსია დაფიქსირდა ბიზნესისა და ადმინისტრირების სპეციალისტებზე (49,8%) და მათგან ფართოდ არის წარმოდგენილი რეკლამირებისა და მარკეტინგის სპეციალისტები (881), ბუღალტრები (812), ფინანსური ანალიტიკოსები (329) და პერსონალისა და კარიერული წინსვლის სპეციალისტები (313).

აღნიშნული ძირითადი ჯგუფიდან მაღალია მოთხოვნა ჯანდაცვის (17,8%), სამართლის, სოციალური და კულტურის სფეროთა (14,3%) სპეციალისტებზე.

ძირითადი ჯგუფი: სპეციალისტები

გამოცხადებული ვაკანსიები ქვეჯგუფებისა და ელემენტარული ჯგუფების მიხედვით

კოდი	ქვეჯგუფი	ვაკანსიების რაოდენობა	ვაკანსიების წილი
21	მეცნიერებისა და ინჟინერიის პროფესიონალები	664	11.8%
22	ჯანდაცვის სპეციალისტები	1000	17.8%
24	ბიზნესისა და ადმინისტრირების სპეციალისტები	2801	49.8%
25	ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სპეციალისტები	352	6.3%
26	სამართლის, სოციალური და კულტურის სფეროთა სპეციალისტები	804	14.3%
	სულ	**5621**	

მეცნიერებისა და ინჟინერიის სპეციალისტებიდან საკმაოდ მაღალია მოთხოვნა გრაფიკული და მულტიმედიის დიზაინერებზე (308), სამოქალაქო მშენებლობის ინჟინრებსა (192) და ინჟინერ-ელექტრიკოსებზე (94). ყოველივე მეტყველებს შრომის ბაზარზე გრაფიკული დიზაინის (ციფრული მხატვარი, ანიმატორი, ილუსტრატორი, ვებ-გვერდის დიზაინერი), მშენებლობისა და ენერგეტიკის სფეროს სპეციალისტების მოთხოვნაზე.

კოდი	ელემენტარული ჯგუფი	ვაკანსიების რაოდენობა	ვაკანსიების წილი
2111	ფიზიკოსები და ასტრონავტები	6	0.9%
2113	ქიმიკოები	18	2.7%
2114	გეოლოგები და გეოფიზიკოსები	2	0.3%
2115	ინჟინერ-ელექტრიკოსები	94	14.2%
2120	მათემატიკოსები, აქტუარები და სტატისტიკოსები	1	0.2%
2142	სამოქალაქო მშენებლობის ინჟინრები	192	28.9%
2143	გარემოს დაცვის საკითხების ინჟინრები	19	2.9%
2146	სამთო ინჟინრები, მეტალურგები და მონათესავე სფეროს სპეციალისტები	24	3.6%
2166	გრაფიკული და მულტიმედიის დიზაინერები	308	46.4%
	სულ	**664**	

ჯანდაცვის სპეციალისტებიდან ყველაზე მეტი ვაკანსია გამოქვეყნდა მედიცინის საერთო პროფილის პრაქტიკოსების - ოჯახის ექიმებისა და პირველადი დამხმარე ექიმების (612), ფარმაცევტების (117), სპეციალისტი ექთნების (116), სტომატოლოგებისა (61) და ფიზიოთერაპევტების (49) მიმართულებით.

კოდი	ელემენტარული ჯგუფი	ვაკანსიების რაოდენობა	ვაკანსიების წილი
2211	მედიცინის საერთო პროფილის პრაქტიკოსები (ოჯახის ექიმები და პირველადი დახმარების ექიმები)	612	61.2%
2212	მედიცინის სპეციალისტ-პრაქტიკოსები	25	2.5%
2221	სპეციალისტი ექთნები	116	11.6%
2250	ექიმი-ვეტერინარები	7	0.7%
2261	სტომატოლოგები	61	6.1%
2262	ფარმაცევტები	117	11.7%
2263	გარემოს, პროფესიული ჯანმრთელობისა და ჰიგიენის სფეროს პროფესიონალები	7	0.7%
2264	ფიზიოთერაპევტები	49	4.9%
2265	დიეტოლოგები და კვების სპეციალისტები	2	0.2%
2267	ოფთალმოლოგები, ოპტომეტრისტები და ოპტიკოსები	4	0.4%
	სულ	**1000**	

კოდი	ელემენტარული ჯგუფი	ვაკანსიების რაოდენობა	ვაკანსიების წილი
2411	ბუღალტრები	812	29.0%
2412	ფინანსური და საინვესტიციო მრჩევლები	1	0.0%
2413	ფინანსური ანალიტიკოსი	329	11.7%
2421	მართვისა და ორგანიზაციის ანალიტიკოსები	75	2.7%
2423	პერსონალისა და კარიერული წინსვლის სპეციალისტი	313	11.2%
2431	რეკლამირებისა და მარკეტინგის სპეციალისტები	881	31.5%
2432	საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტები	83	3.0%
2433	ტექნიკური და სამედიცინო პროდუქციის გაყიდვების სპეციალისტები	307	11.0%
	სულ	**2801**	

სამართლის, სოციალური და კულტურის სფეროთა სპეციალისტები წარმოდგენილია ვაკანსიების ფართო სპექტრით და მათგან ყველაზე მაღლი მოთხოვნა დაფიქსირდა იურისტებზე (278), საშემსრულებლო არტისტებზე (146), სოციოლოგებზე (68), მთარგმნელი/თარჯიმნებსა (75) და ჟურნალისტებზე (53).

კოდი	ელემენტარული ჯგუფი	ვაკანსიების რაოდენობა	ვაკანსიების წილი

2611	იურისტები	278	34.6%
2612	მოსამართლე	4	0.5%
2619	სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი სამართლის სპეციალისტები	5	0.6%
2621	არქივარიუსები და მუზეუმის კურატორები	17	2.1%
2631	ეკონომისტები	25	3.1%
2632	სოციოლოგები, ანთროპოლოგები და მონათესავე სფეროთა სპეციალისტები	68	8.5%
2633	ფილოსოფოსები, ისტორიკოსები და პოლიტიკური მეცნიერების სპეციალისტები	9	1.1%
2634	ფსიქოლოგები	22	2.7%
2635	სოციალური სამუშაოებისა და კონსულტაციების სფეროთა სპეციალისტები	23	2.9%
2642	ჟურნალისტები	53	6.6%
2643	მთაგმნელები, თარჯიმნები და სხვა ლინგვისტები	75	9.3%
2651	სახვითი ხელოვნების მხატვრები	16	2.0%
2652	მუსიკოსები, მომღერლები და კომპოზიტორები	11	1.4%
2653	მოცეკვავეები და ქორეოგრაფები	3	0.4%
2654	ფილმის, სასცენო და მონათესავე სფეროთა რეჟისორები და პროდიუსერები	23	2.9%
2655	მსახიობები	9	1.1%
2656	რადიოს, სატელევიზიო და სხვა მედიასაშუალებების დიქტორები	17	2.1%
2659	სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი შემოქმედებითი და საშემსრულებლო არტისტები	146	18.2%
	სულ	**804**	

სპეციალისტების კვალდაკვალ გამოცხადებული ვაკანსიების რაოდენობით მოდის ტექნიკოსები და დამხმარე სპეციალისტები (13%), რაც კიდევ უფრო მეტად ამყარებს უმაღლესი განათლების მქონე კარებზე მოთხოვნას, რაც რიგ შემთხვევებში სამუშაოს შესრულების მხრივ წარმოადგენს სპეციალისტებისათვის უმთავრეს დასაყრდენს.

ძირითადი ჯგუფი: ტექნიკოსები და დამხმარე სპეციალისტები

გამოცხადებული ვაკანსიები ქვეჯგუფებისა და ელემენტარული ჯგუფების მიხედვით

კოდი	ქვეჯგუფი	ვაკანსიების რაოდენობა	ვაკანსიების წილი

31	სამეცნიერო და საინჟინრო დამხმარე სპეციალისტები	236	5.6%
32	ჯანდაცვის დამხმარე სპეციალისტები	131	3.2%
33	ბიზნესისა და ადმინისტრირების დამხმარე სპეციალისტები	2398	56.4%
34	სამართლის, სოციალური, კულტურისა და მონათესავე დარგების დამხმარე სპეციალისტები	512	12.0%
35	ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ტექნიკოსები	975	22.9%
	სულ	**4252**	

სპეციალისტების მსგავსად ტექნიკოსებსა და დამხმარე სპეციალისტებზე გამოცხადებულ ვაკანსიებში ჭარბობს ბიზნესისა და ადმინისტრირების დამხმარე სპეციალისტები (56,4%) და მათგან ფართოდ არის წარმოდგენილი კომერციული გაყიდვების წარმომადგენლები (840), ადმინისტრაციული და აღმასრულებელი სფეროს მდივნები (457) საკრედიტო და სესხის ოფიცრები (420), სადაზღვეო წარმომადგენლები (226), საბუღალტრო სფეროს სპეციალისტები (199), შემსყიდველები (170) და უძრავი ქონების აგენტები (54). ყოველივე მჭიდროდ არის დაკავშირებული ვაჭრობის, საფინანსო და სადაზღვეო სფეროსთან და მათზე საკვალიფიკაციო მოთხოვნა უმაღლეს განათლებას ითვალისწინებს.

კოდი	ელემენტარული ჯგუფი	ვაკანსიების რაოდენობა	ვაკანსიების წილი
3312	საკრედიტო და სესხის ოფიცრები	420	17.5%
3313	საბუღალტრო სფეროს სპეციალისტები	199	8.3%
3321	სადაზღვევო წარმომადგენლები	226	9.4%
3322	კომერციული გაყიდვების წარმომადგენლები	840	35.0%
3323	შემსყიდველები	170	7.1%
3334	უძრავი ქონების აგენტები და ქონების მენეჯერები	54	2.3%
3335	სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი ბიზნეს მომსახურების აგენტი	16	0.7%
3343	ადმინისტრაციული და აღმასრულებელი სფეროს მდივნები	457	19.1%
3351	საბაჟო და სასაზღვრო ინსპექტორები	2	0.1%
3352	სახელმწიფო მოსამსახურეები საგადასახადო და სააქციზო მოსაკრებლების ამოღების	6	0.3%
3355	პოლიციის ინსპექტორები და დეტექტივები	8	0.3%
	სულ	**2398**	

კოდი	ელემენტარული ჯგუფი	ვაკანსიების რაოდენობა	ვაკანსიების წილი
3112	სამოქალაქო ინჟინერიის ტექნიკოსები	54	22.9%
3118	მხაზველები	29	12.3%
3139	პროცესის კონტროლის ტექნიკოსები სხვა ჯგუფში ჩაურთველი	153	64.8%
	სულ	**236**	

კოდი	ელემენტარული ჯგუფი	ვაკანსიების რაოდენობა	ვაკანსიების წილი
3212	სამედიცინო და პათოლოგიური ლაბორატორიის ტექნიკოსები	56	42.7%
3255	ფიზიოთერაპიის ტექნიკოსები და ასისტენტები	34	26.0%
3256	სამედიცინო სფეროს დამხმარე პირები	2	1.5%
3257	გარემოსა და პროფესიული ჯანდაცვის სფეროს ინსპექტორები და დამხმარეები	7	5.3%
3258	სასწრაფო დახმარების პერსონალი	32	24.4%
	სულ	**131**	

საკმაოდ ბევრი ვაკანსია გამოცხადდა შეფ-მზარეულის (462) პოზიციაზე. ყოველივე აიხსნება ქვეყანაში საერთაშორისო ვიზიტორების მკვეთრი ზრდით, ვიზიტორების მიერ ბაზრის სტიმულირებით, რაც თავის მხრივ აისახება ტურიზმის ინდუსტრიაში დასაქმების ზრდით. ასე მაგალითად „უნარებზე საწარმოთა მოთხოვნის კვლევის“ მიხედვით 2017 წელს გასულ წელთან შედარებით 44% გაიზარდა განთავსებისა და საკვების მიწოდების სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა. დადებით ტენდენციას წარმოადგენს ბოლო წლებში ქვეყანაში საერთაშორისო მოგზაურების ვიზიტების ზრდა. 2017 წელს საერთაშორისო მოგზაურების ვიზიტების რიცხვმა 7,9 მილიონი შეადგინა, რაც 17,6%-ით მეტია გასულ წელთან შედარებით4.

კოდი	ელემენტარული ჯგუფი	ვაკანსიების რაოდენობა	ვაკანსიების წილი
3411	სამართლისა და მონათესავე სფეროს დამხმარე სპეციალისტები	3	0.6%
3431	ფოტოგრაფები	28	5.5%
3432	ინტერიერის დიზაინერები და დეკორატორები	17	3.3%
3434	შეფ-მზარეული	462	90.2%
3435	ხელოვნებისა და კულტურის სფეროს სხვა დამხმარე სპეციალისტები	2	0.4%
	სულ	**512**	

[4] საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, „კვლევები“, https://gnta.ge/ge/სტატისტიკა/

ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სპეციალისტებზე გამოცხადებული ვაკანსიების პარალელურად მოთხოვნა დაფიქსირდა ამავე სფეროს ტექნიკოსებზეც, რომელთა შორის აღსანიშნავია - ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ოპერირების ტექნიკოსები (414), მომხმარებლების მხარდაჭერის ტექნიკოსები (240), კომპიუტერული ქსელისა და სისტემის ტექნიკოსები (139) და ინტერნეტ ტექნიკოსები (112). ქვეყანაში საყოველთაო ინტერნეტიზაცია, განსაკუთრებით რეგიონებში ოპტიკურ ბოჭკოვანი კაბელების გაყვანა სულ უფრო და უფრო ზრდის ქვეყნის მასშტაბით ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნიკოსებზე მოთხოვნას როგორც ინტერნეტის პირადი მოხმარების, ასევე საქმის წარმოების მიზნით.

კოდი	ელემენტარული ჯგუფი	ვაკანსიების რაოდენობა	ვაკანსიების წილი
3511	ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ოპერირების ტექნიკოსები	414	42.5%
3512	ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მომხმარებლის მხარდაჭერის ტექნიკოსები	240	24.6%
3513	კომპიუტერული ქსელისა და სისტემის ტექნიკოსები	139	14.3%
3514	ინტერნეტ-ტექნიკოსები	112	11.5%
3521	რადიომაუწყებლობისა და აუდიოვიზუალის ტექნიკოსები	43	4.4%
3522	სატელეკომუნიკაციო დანადგარების ტექნიკოსები	27	2.8%
	სულ	**975**	

2017 წელს HR.GE-ზე გამოქვეყნებულ ვაკანსიებს შორის საკმაოდ დიდ წილს (11,8%) შეადგენს ვაკანსიები ოფისის დამხმარე პერსონალზე. მათგან აღსანიშნავია მომხმარებლის ინფორმირების სფეროში დასაქმებული პირები (42,8%) და რაოდენობრივი და მატერიალური ფასეულობების აღმრიცხველი კლერკები (31,4%). ამ ქვეჯგუფში შედის პროფესიული ჯგუფები, რომელთა მოვალეობებს განეკუთვნება ბეჭდვა, სამდივნო მოვალეობის შესრულება, რიცხობრივი ინფორმაციის შენახვა და მომხმარებლისათვის საჭირო ინფორმაციის მიწოდების უზრუნველყოფა. ყოველივე მოითხოვს შუალედურ უნარებს საკვალიფიკაციო მოთხოვნად შესაძლოა განისაზღვროს საშუალო განათლების შემდგომი განათლება.

ძირითადი ჯგუფი: ოფისის დამხმარე პერსონალი

გამოცხადებული ვაკანსიები ქვეჯგუფებისა და ელემენტარული ჯგუფების მიხედვით

კოდი	ქვეჯგუფი	ვაკანსიების რაოდენობა	ვაკანსიების წილი
41	ოფისის დამხმარე მუშები	26	0.7%
42	მომხმარებლის ინფორმირების სფეროში დასაქმებული პირები	1658	42.8%
43	რაოდენობრივი და მატერიალური ფასეულობების აღმრიცხველი კლერკები	1217	31.4%
44	ოფისის დამხმარე პერსონალში დასაქმებული სხვა პირები	976	25.2%
	სულ	**3877**	

მომხმარებლის ინფორმირების სფეროში დასაქმებული პირებიდან ვაკანსიების სიმრავლით გამოირჩევა: სატელეფონო ოპერატორები (526), ბანკის მოლარეები (439), მოგზაურობის კონსულტანტები (182), მიმღების ოპერატორები (141). ამ ელემენტარული ჯგუფების ზოგად მოვალეობას განეკუთვნება მომხმარებლისათვის სათანადო მომსახურების გაწევა და ინფორმაციის მიწოდება.

კოდი	ელემენტარული ჯგუფი	ვაკანსიების რაოდენობა	ვაკანსიების წილი
4211	ბანკის მოლარეები და მონათესავე სფეროთა კლერკები	439	26.5%
4221	მოგზაურობის კონსულტანტები და მუშაკები	370	22.3%
4223	სატელეფონო კომუტატორის ოპერატორები	526	31.7%
4224	სასტუმროს მიმღების ოპერატორები	182	11.0%
4226	მიმღების ოპერატორები (ზოგადი)	141	8.5%
	სულ	**1658**	

ოფისის დამხმარე პერსონალის ელემენტარული ჯგუფიდან ასევე დაფიქსირდა მოთხოვნა ტრანსპორტის კლერკებზე (901), რომლებიც აღრიცხავენ და კოორდინაციას უწევენ სარკინიგზო, საგზაო და საჰაერო ტრანსპორტის გადაადგილებას და ამ ჯგუფურ ერთეულში შედიან კონტროლიორები და დისპეჩერები. აღნიშნული ძირითადი ჯგუფიდან ასევე საკმაოდ მაღალია მოთხოვნა: ოფისის დამხამრე პერსონალზე (417), საბუღალტრო ოპერაციების კლერკებსა (316) და კურიერებზე (219).

კოდი	ელემენტარული ჯგუფი	ვაკანსიების რაოდენობა	ვაკანსიების წილი
4311	საბუღალტრო ოპერაციებისა და აღრიცხვის კლერკები	316	26.0%
4323	ტრანსპორტირების კლერკები	901	74.0%
	სულ	**1217**	

კოდი	ელემენტარული ჯგუფი	ვაკანსიების რაოდენობა	ვაკანსიების წილი
4412	კურიერები და ფოსტის დამხარისხებლები	219	32.3%
4415	საქმისმწარმოებლები და ასლების გადამღები კლერკები	43	6.3%
4419	სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი ოფისის დამხმარე პერსონალი	417	61.4%
	სულ	**679**	

2017 წელს HR.GE-ზე გამოქვეყნებული ვაკანსიებიდან ხელოსნებზე მოდის 7,6% და აღნიშნული ჯგუფიდან მათგან ყველაზე ფართოდ არიან წარმოდგენილები - ელექტრული და ელექტრონული მოწყობილობების მუშები (32,4%), რომელთა კომპეტენციას განეკუთვნება: ელექტრული და ელექტრონული საკაბელო სისტემების, მანქანა-დანადგარების და მოწყობილობების დამონტაჟება, ტექნიკური მომსახურება, აწყობა და დარეგულირება. ვაკანსიების სიმრავლით ასევე გამოირჩევა შემდეგი ქვეჯგუფები: საკვები პროდუქტების გადამამუშავებლები, ხის ხელოსნები, მკერავები და სხვა ხელოსნები და მონათესავე პროფესიის მუშები (23%) და მშენებლობის (20,6%) სფეროს მუშები.

ძირითადი ჯგუფი: ხელოსნები და მონათესავე სფეროების მუშები

გამოცხადებული ვაკანსიები ქვეჯგუფებისა და ელემენტარული ჯგუფების მიხედვით

კოდი	ქვეჯგუფი	ვაკანსიების რაოდენობა	ვაკანსიების წილი
71	მშენებლობისა და მონათესავე პროფესიის მუშები	512	20.6%
72	ლითონგადამმუშავებლები, მანქანათმშენებლები და მონათესავე სფეროების მუშები	220	8.9%
73	ხელოსნები და პოლიგრაფიული წარმოების მუშები	374	15.1%
74	ელექტრული და ელექტრონული მოწყობილობების სფეროების მუშები	806	32.4%
75	საკვები პროდუქტების გადამამუშავებლები, ხის ხელოსნები, მკერავები და სხვა ხელოსნები და მონათესავე პროფესიის მუშები	572	23.0%
	სულ	**2484**	

აღნიშნულ ჯგუფში შედიან ფართო სპექტრის ხელოსნები და მონათესავე სფეროების მუშები, რომლებიც იყენებენ კონკრეტულ ცოდნას და უნარებს: შენობების ასაშენებლად; ლითონის კონსტრუქციებს ასამართავად; მანქანა-დანადგარების და მოწყობილობის დასაყენებლად, ტექნიკური მომსახურების გასაწევად და გასარემონტებლად; ბეჭდური სამუშაოების შესასრულებლად; საკვები პროდუქტების, ტექსტილს და სხვა სახის საქონლის საწარმოებლად და დასამუშავებლად. აღნიშნულ ჯგუფზე საკვალიფიკაციო მოთხოვნა ითვალისწინებს პროფესიულ განათლებას.

ელემენტარული ჯგუფებიდან ყველზე მეტი ვაკანსია დაფიქსირდა: მცხობელები, კონდიტერები და ტკბილეულის დამამზადებლების (417); ელექტრონული მოწყობილობების მექანიკოსების (337); ელექტრული მოწყობილობების მექანიკოსების (206); ავტოსატრანსპორტო საშუალებების მექანიკოსების (181); სახლების მშენებლების (179); შენობების ელექტრიკოსების (159); მეთუნუქეებისა (111) და მკერავების (106) პოზიციებზე.

კოდი	ელემენტარული ჯგუფი	ვაკანსიების რაოდენობა	ვაკანსიების წილი
7111	სახლების მსენებლები	179	35.0%
7115	ხუროები და დურგლები	35	6.8%
7121	მხურავები	8	1.6%
7123	მებათქაშეები	13	2.5%
7126	ზეინკალ-სანტექნიკოსი და ზეინკალ-მილგამყვანები	44	8.6%
7127	ჰაერის კონდიცირებისა და გაგრილების სისტემის მექანიკოსები	37	7.2%
7131	მღებავები და მონათესავე სფეროების მუშები	196	38.3%
	სულ	**512**	

ზემოთ ხსენებულ ელემენტარულ ჯგუფებზე მოთხოვნა უკავშირდება ქვეყანაში ტურიზმის, ენერგეტიკის, სამშენებლო და საფეიქრო ინდუსტრიაში პროექტების განხორციელებასა და სამუშაო ადგილების გაჩენას. უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო წლებში საქართველოში დიდი სამკერვალო ფაბრიკები გაიხსნა, რომლებიც ქვეყანაში ცნობილი დასავლური ბრენდების პროდუქციას კერავენ.

კოდი	ელემენტარული ჯგუფი	ვაკანსიების რაოდენობა	ვაკანსიების წილი
7212	შემდუღებლები და აირთ მჭრელები	31	14.1%
7231	ავტოსატრანსპორტო საშუალებების მექანიკოსები და შემკეთებლები	181	82.3%
7232	ავიაძრავების მექანიკოსები და შემკეთებლები	8	3.6%
	სულ	**220**	

კოდი	ელემენტარული ჯგუფი	ვაკანსიების რაოდენობა	ვაკანსიების წილი
7314	მეთუნეები და მონათესავე სფეროების მუშები	111	29.7%
7316	პოსტერებისა და დეკორატიული ხატვის ოსტატები, გრავიორები და გრავერები	9	2.4%
7317	ხეზე, მოწნულ ნაწარმსა და სხვა მსგავს მასალებზე ხელით მომუშავე ოსტატები	31	8.3%
7319	ხელოსნები, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი	170	45.5%
7322	მბეჭდავები	53	14.2%
	სულ	**374**	

კოდი	ელემენტარული ჯგუფი	ვაკანსიების რაოდენობა	ვაკანსიების წილი
7411	შენობების და მონათესავე სფეროების ელექტრიკოსები	159	19.7%
7412	ელექტრონული მოწყობილობების მექანიკოსები და მონტიორები	206	25.6%
7413	ელექტროგადამცემი ხაზების მემონტაჟეები და შემკეთებლები	73	9.1%
7421	ელექტრული მოწყობილობების მექანიკოსები და მომსახურე მუშები	337	41.8%
7422	საინფორმაციო და კავშირგაბმულობის ტექნოლოგიების მემონტაჟეები და მომსახურე მუსები	31	3.8%
	სულ	**806**	

კოდი	ელემენტარული ჯგუფი	ვაკანსიების რაოდენობა	ვაკანსიების წილი
7511	ხორცის, თევზისა და მსგავსი საკვები პროდუქტების გადამამუშავებლები	33	5.8%
7512	მცხობელები, კონდიტერები და ტკბილეულის დამამზადებლები	417	72.9%
7515	საკვები პროდუქტების და სასმელების დეგუსტატორები და დამხარისხებლები	8	1.4%
7533	მკერავები, მქარგავები და მონათესავე სფეროს ხელოსნები	106	18.5%
7534	ავეჯის გადამკვრელები და მონათესავე სფეროების ხელოსნები	8	1.4%
	სულ	**572**	

2017 წელს HR.GE-ზე გამოქვეყნებული მენეჯერული ვაკანსიები საერთო ვაკანსიების 6,7%-ს შეადგენს და მათგან გამორჩეული ადგილი უკავია ადმინისტრაციულ და კომერციულ მენეჯერებს (55,2%), რომელთაგან ფართოდ არის წარმოდგენილი გაყიდვებისა მარკეტინგის მენეჯერები (1027).

ძირითადი ჯგუფი: მენეჯერები

გამოცხადებული ვაკანსიები ქვეჯგუფებისა და ელემენტარული ჯგუფების მიხედვით

კოდი	ქვეჯგუფი	ვაკანსიების რაოდენობა	ვაკანსიების წილი
11	უმაღლესი რგოლის მენეჯერები, მაღალი თანამდებობის პირები და კანონმდებლები	275	12.5%
12	ადმინისტრაციული და კომერციული მენეჯერები	1215	55.2%
13	წარმოებისა და სპეციალური მომსახურების მენეჯერები	499	22.7%
14	სასტუმროების, საცალო ვაჭრობისა და სხვა მომსახურებების მენეჯერები	214	9.7%
	სულ	**2203**	

სხვა კატეგორიის მენეჯერებიდან ვაკანსიების სიმრავლით გამოირჩეოდა მოთხოვნა მმართველ დირექტორებსა და უმაღლესი რგოლის მენეჯერებზე (274), ფინანსური და სადაზღვეო მომსახურებების ფილიალების მენეჯერებზე (242), რესტორნების (94), სასტუმროებისა (73) და ფინანსურ (74) მენეჯერებზე.

ქვეყნის მასშტაბით კომერციულ კორპორაციებში მენეჯერულ პოზიციებზე დასაქმებას წამყვანი ადგილი უკავია. 2017 წელს „უნარებზე საწარმოთა მოთხოვნის კვლევის“ მიხედვით მენეჯერულ პოზიციებზე დასაქმებულთა ხვედრითი წილი იყო 20,1%, მათგან დირექტორებსა და მთავარ ხელმძღვანელ პირებზე 66,4% მოდიოდა.

კოდი	ელემენტარული ჯგუფი	ვაკანსიების რაოდენობა	ვაკანსიების წილი
1211	ფინანსური მენეჯერი	74	6.1%
1213	პოლიტიკისა და დაგეგმვის მენჯერები	28	2.3%
1214	სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი კომერციული მომსახურებისა	44	3.6%
1219	სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი კომერციული მომსახურებისა	42	3.5%
1221	გაყიდვებისა და მარკეტინგის მენეჯერები	1027	84.5%
	სულ	**1215**	

კოდი	ელემენტარული ჯგუფი	ვაკანსიების რაოდენობა	ვაკანსიების წილი
1311	სოფლის მეურნეობისა და მეტყევეობის წარმოების მენეჯერები	6	1.2%
1323	სოფლის მეურნეობისა და მეტყევეობის წარმოების მენეჯერები	17	3.4%
1324	მომარაგების, დისტრიბუციისა და მონათესავე სფეროების მენეჯერები	3	0.6%
1342	ჯანდაცვის სფეროს სამსახურების მენეჯერები	43	8.6%
1346	ფინანსური და სადაზღვევო მომსახურებების ფილიალის მენეჯერები	242	48.2%
1349	სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი პროფესიული მომსახურებების მენეჯერები	191	38.0%
	სულ	**502**	

კოდი	ელემენტარული ჯგუფი	ვაკანსიების რაოდენობა	ვაკანსიების წილი
1411	სასტუმროების მენეჯერები	73	34.1%
1412	რესტორნების მენეჯერები	94	43.9%
1432	სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი მომსახურების მენეჯერები	47	22.0%
	სულ	**214**	

ძირითადი ჯგუფი: დამწყები კვალიფიკაციის მქონე მუშახელი

გამოცხადებული ვაკანსიები ქვეჯგუფებისა და ელემენტარული ჯგუფების მიხედვით

კოდი	ქვეჯგუფი	ვაკანსიების რაოდენობა	ვაკანსიების წილი
91	დამლაგებლები და დამხმარეები	829	48.6%
93	სამთო-მოპოვებითი, სამშენებლო, მრეწველობისა და ტრანსპორტის სფეროს მუშები	480	28.2%
94	დამხმარეები საკვების მომზადებისას	381	22.3%
96	ნარჩენების გამტანები და სხვა დამწყები კვალიფიკაციის მქონე მუშები	15	0.9%
	სულ	**1705**	

2017 წელს HR.GE-ზე გამოქვეყნებული ვაკანსიებიდან 5,2% მოდის დამწყები კვალიფიკაციის მქონე მუშახელზე, მათგან მრავლად არის წარმოდგენილი მოთხოვნა დამლაგებლებზე (733), სამოქალაქო მშენებლობის დამწყები კვალიფიკაციის მუშებსა (479) და სამზარეულოში დამხმარეებზე (381). წარმოდგენილი ჯგუფი აერთიანებს

ელემენტარულ ჯგუფებს, რომლებზეც საკვალიფიკაციო მოთხოვნა ითვალისწინებს დაწყებით და საბაზისო განათლებას.

კოდი	ელემენტარული ჯგუფი	ვაკანსიების რაოდენობა	ვაკანსიების წილი
9112	ოფოსის, სასტუმროებისა და სხვა დაწესებულებების დამლაგებლები და დამხმარეები	733	88.4%
9122	მანქანის მრეცხავები	49	5.9%
9123	ფანჯრების მრეცხავები	39	4.7%
9124	სხვა ტიპის მრეცხავები	8	1.0%
	სულ	**829**	

კოდი	ელემენტარული ჯგუფი	ვაკანსიების რაოდენობა	ვაკანსიების წილი
9333	მტვირთავები	1	0.2%
9312	სამოქალაქო მშენებლობის დამწყები კვალიფიკაციის მუშები	479	99.8%
	სულ	**480**	

კოდი	ელემენტარული ჯგუფი	ვაკანსიების რაოდენობა	ვაკანსიების წილი
9412	სამზარეულოში დამხმარეები	381	100%

კოდი	ელემენტარული ჯგუფი	ვაკანსიების რაოდენობა	ვაკანსიების წილი
9611	ნარჩენების შემგროვებლები და გადამამუშავებლები	6	40.0%
9613	მეეზოვეები და მსგავსი დაწყები კვალიფიკაციის მუშები	9	60.0%
	სულ	**15**	

ძირითადი ჯგუფი: სამრეწველო დანადგარებისა და მანქანების ოპერატორები და ამწყობები

გამოცხადებული ვაკანსიები ქვეჯგუფებისა და ელემენტარული ჯგუფების მიხედვით

კოდი	ქვეჯგუფი	ვაკანსიების რაოდენობა	ვაკანსიების წილი
81	მდგრადი სამრეწველო დანადგარებისა და მანქანების ოპერატორები	38	2.8%
82	ამწყობები	40	2.9%
83	მძღოლები და მოძრავი ტექნიკური საშუალებების ოპერატორები	1298	94.3%
	სულ	**1376**	

2017 წელს HR.GE-ზე გამოქვეყნებული ვაკანსიებიდან 4,2% მოდის სამრეწველო დანადგარებისა და მანქანების ოპერატორებზე, მათგან ყველაზე მსხვილ ელემენტარულ ჯგუფს წარმოადგენს სატვირთო ავტომობილებისა (934) და მსუბუქი (333) ავტომობილების მძღოლები. მთლიანობაში აღნიშნულ ძირითად ჯგუფზე საკვალიფიკაციო მოთხოვნა ითვალისწინებს დაწყებით და საბაზისო განათლებას.

კოდი	ელემენტარული ჯგუფი	ვაკანსიების რაოდენობა	ვაკანსიების წილი
8322	მსუბუქი ავტომობილების, ტაქსებისა და ფურგონების მძღოლები	333	26.7%
8332	სატვირთო ავტომობილების მძღოლები	934	72.0%
8341	სასოფლო და სატყეო მეურნეობების მოტორიზებული მოწყობილობების ოპერატორი	5	0.4%
8343	ამწეების, საწეველებისა და მსგავსი მანქანების ოპერატორები	26	2.0%
	სულ	**1245**	

ძირითადი ჯგუფი: სოფლის მეურნეობის, მეტყევეობისა და მეთევზეობის დარგის კვალიფიციური მუშაკები

გამოცხადებული ვაკანსიები ქვეჯგუფებისა და ელემენტარული ჯგუფების მიხედვით

კოდი	ქვეჯგუფი	ვაკანსიების რაოდენობა	ვაკანსიების წილი
61	ბაზარზე ორიენტირებული სოფლის მეურნეობის სფეროს კვალიფიციური მუშაკები	46	90.2%
63	თვითმოხმარებაზე ორიენტირებული ფერმერები, მეთევზეები, მონადირეები და შემგროვებლები	5	9.8%
	სულ	**51**	

2017 წელს ძირითადი ჯგუფების მიხედვით ყველაზე ნაკლები ვაკანსია (0,2%) გამოქვეყნდა სოფლის მეურნეობის, მეტყევეობისა და მეთევზეობის დარგის კვალიფიციური მუშაკებზე, რომელთა საკვალიფიკაციო მოთხოვნა ითვალისწინებს დაწყებით და საბაზისო განათლებას. მოთხოვნის დაბალი მაჩვენებელი აიხსნება იმ გარემოებით, რომ სოფლის მეურნეობაში მაღალია თვითდასაქმება და დაქირავებულ შრომას ძალზედ მოკრძალებული ადგილი უკავია.

კოდი	ელემენტარული ჯგუფი	ვაკანსიების რაოდენობა	ვაკანსიების წილი
6111	მემინდვრეები და მებოსტნეები	14	30.4%
6112	ხეხილისა და ბუჩქოვანი კულტურების მწარმოებლები	12	26.1%
6113	მებაღეები; სანერგე მეურნეობის სპეციალისტები	10	21.7%
6121	რძისა და სხვა ცხოველური პროდუქტების მწარმოებლები	3	6.5%
6122	მეფრინველეები	6	13.0%
6123	მეფუტკრეები და მეაბრეშუმეები	1	2.2%
	სულ	**46**	

ძირითადი ჯგუფები	დასახელება	რაოდენობა	წილი	უნარებთან შესაბამისობა
1	მენეჯერები	2203	6.7%	უმაღლესი უნარები (უმაღლესი განათლება)
2	სპეციალისტები	5621	17.2%	
3	ტექნიკოსები და დამხმარე სპეციალისტები	4252	13.0%	
4	ოფისის დამხმარე პერსონალი	3877	11.8%	შუალედური უნარები (საშუალო განათლების შემდგომი განათლება)
5	მომსახურებებისა და გაყიდვების სფეროებში დასაქმებული პირები	11198	34.2%	
6	სოფლის მეურნეობის, მეტყევეობისა და მეთევზეობის დარგის კვალიფიციური მუშაკები	51	0.2%	
7	ხელოსნები და მონათესავე სფეროების მუშები	2484	7.6%	
8	სამრეწველო დანადგარებისა და მანქანების ოპერატორები და ამწყობები	1376	4.2%	დაბალი უნარები (დაწყებითი და საბაზისო განათლება)
9	დამწყები კვალიფიკაციის მქონე მუშახელი	1705	5.2%	

ამრიგად, 2017 წელს HR.GE-ზე გამოცხადებული ვაკანსიების ანალიზმა გვიჩვენა, რომ:

- HR.GE-ზე გამოცხადებული ვაკანსიების რაოდენობამ 2017 წელს 30 ათასზე მეტი შეადგინა.

- გამოცხადებული ვაკანსიების უმრავლესობა სამუშაოს მაძიებლებისგან მოითხოვს საშუალო და პროფესიულ განათლებას;

- ძირითადი ჯგუფების მიხედვით, გამოცხადებული ვაკანსიებიდან ორნიშნა პროცენტული წილით ხასიათდება:

    - ვაკანსიები (**34,2%**) **მომსახურებებისა და გაყიდვების სფეროში დასაქმებულ პირებზე**. მომსახურებისა და გაყიდვების სფეროში ვაკანსიების სიმრავლე

განპირობებულია უშუალოდ გაყიდვების სფეროში დასაქმებულ პირებზე (81.4%) მაღალი მოთხოვნით, კერძოდ მაღალია მოთხოვნა მაღაზიის კონსულტანტ-გამყიდველებისა (6615) და მოლარეების (1630) პოზიციებზე. ასევე მაღალია მოთხოვნა მიმტანებზე (744), დაცვის მუშაკებზე (476), დამლაგებლებსა (316) და ბარმენებზე (306).

- ვაკანსიების **17,2%**-ს სხვადასხვა დარგის **სპეციალისტები** შეადგენს. სპეციალისტების ძირითად ჯგუფში წარმოდგენილი ვაკანსიები დაკავშირებულია მაღალინტელექტუალურ შრომასთან და საკვალიფიკაციო მოთხოვნაა უმაღლესი განათლება. სპეციალისტებიდან ყველაზე მეტი ვაკანსია დაფიქსირდა ბიზნესისა და ადმინისტრირების სპეციალისტებზე (49,8%) და მათგან ფართოდ არის წარმოდგენილი რეკლამირებისა და მარკეტინგის სპეციალისტები (881), ბუღალტრები (812), ფინანსური ანალიტიკოსები (329) და პერსონალისა და კარიერული წინსვლის სპეციალისტები (313). აღნიშნული ძირითადი ჯგუფიდან მაღალია მოთხოვნა ჯანდაცვის (17,8%), სამართლის, სოციალური და კულტურის სფეროთა (14,3%) სპეციალისტებზე.
- გამოცხადებული ვაკანსიების **13%** მოდის **ტექნიკოსებსა და დამხმარე სპეციალისტების** ძირითად ჯგუფზე. ამასთან, ამ ძირითად ჯგუფში გამოცხადებულ ვაკანსიებში ჭარბობს ვაკანსიები ბიზნესისა და ადმინისტრირების დამხმარე სპეციალისტებზე და იგი 56,4%-ს უტოლდება;
- საკმაოდ დიდ წილს (**11,8%**) შეადგენს ვაკანსიები **ოფისის დამხმარე პერსონალზე;**

- ელემენტარული ჯგუფებიდან კი ყველაზე მეტი ვაკანსია გამოცხადდა შემდეგ პოზიციებზე:

კოდი	ელემენტარული ჯგუფები	ვაკანსიების რაოდენობა
5223	მაღაზიის კონსულტანტ-გამყიდველები	6615
5230	მოლარეები და ბილეთების გამყიდველ კონტროლიორები	1630
1221	გაყიდვებისა და მარკეტინგის მენეჯერები	1027
8332	სატვირთო ავტომობილების მძღოლები	934
4323	ტრანსპორტირების კლერკები	901
2431	რეკლამისა და მარკეტინგის სპეციალისტები	881
3322	კომერციული გაყიდვების წარმომადგენლები	840
2411	ბუღალტრები	812
5131	მიმტანები	744
9112	ოფისის, სასტუმროებისა და სხვა დაწესებულებების დამლაგებლები და დამხმარეები	733
2211	მედიცინის საერთო პროფილის პრაქტიკოსები	612
4223	სატელეფონო კომუნიკაციის ოპერატორები	526
9312	სამოქალაქო მშენებლობის დამწყები კვალიფიკაციის მუშები	479
5414	უსაფრთხოების სამსახურის დაცვის მუშაკები	476

3434	შეფ-მზარეულები	462
3343	ადმინისტრაციული და აღმასრულებელი სფეროს მდივნები	457
4211	ბანკის მოლარეები და მონათესავე სფეროთა კლერკები	439
3312	საკრედიტო და სესხის ოფიცრები	420
4419	სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი ოფისის დამხმარე პერსონალი	417
7512	მცხობელები, კონდიტერები და ტკბილეულის დამამზადებლები	417
3511	ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ოპერირების ტექნიკოსები	414
5242	გაყიდვების წარმომადგენლები	394
4221	მოგზაურობის კონსულტანტები და მუშაკები	370
7421	ელექტრონული მოწყობილობების მექანიკოსები და მომსახურე მუშები	337
8322	მსუბუქი ავტომობილების, ტაქსებისა და ფურგონების მძღოლები	333

დასკვნა

წინამდებარე ანგარიშში, ერთი მხრივ, საქართველოს ეკონომიკაში არსებული მდგომარეობის და მომავლის ტენდენციების შეფასებით, რაც მათ შორის, მოიცავს სწრაფად მზარდი დარგების ანალიზს და ეკონომიკის სხვადასხვა სექტორში დაგეგმილი კაპიტალური ხარჯების და საინვესტიციო პროექტების განხორციელების შედეგად სამუშაო ძალაზე მოთხოვნის შესაძლო ზრდას, ხოლო მეორე მხრივ, სამუშაო ძალის არსებული სტრუქტურისა და ტენდენციების გათვალისწინებით, შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგი დასკვნა:

- შრომითი რესურსების მიწოდების მიმართულებით, საგულისხმოა, რომ ბოლო წლების განმავლობაში ადგილი აქვს მკვეთრ დემოგრაფიულ ცვლილებებს, რაც აისახება სამუშაო ძალის შემცირებაში. ყოველივე განპირობებულია ქვეყნიდან ადამიანების გადინებით და შობადობის არასტაბილური ცვლილებით. ამასთან, მიგრაცია შესაძლოა განვიხილოთ, როგორც დადებით, ასევე უარყოფით კონტექსტში. ერთი მხრივ, ქვეყნიდან „ტვინების გადინება“ მოკლევადიან პერიოდში აკარგვინებს ქვეყანას ინტელექტუალურ შესაძლებლობებს, მეორე მხრივ, მიგრანტთა დაბრუნების შემთხვევაში ქვეყანას უბრუნდება უფრო მეტად კვალიფიციური კადრი და მათ მიერ საზღვარგარეთ მიღებული განათლების და შეძენილი უნარების ქვეყნაში ეფექტიანი გამოყენება მნიშვნელოვანია ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის. ბოლო პერიოდში მიგრაციის უარყოფითი სალდოს შემცირების მიუხედავად, მიგრაციის საკითხის შრომის ბაზართან მიმართებით განხილვა ერთ-ერთ მნიშვნელოვან და აქტუალურ საკითხს წარმოადგენს (განსაკუთრებით ევროკავშირთან დაახლოების პირობებში) და შესაბამისად, პოლიტიკის შემუშავების პროცესში აუცილებელია ამ ფაქტორის გათვალისწინება;
- დღევანდელ პირობებში, საქართველოში შრომის ბაზრის წინაშე არსებულ მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს უმუშევრობის მაღალი მაჩვენებელი, დასაქმების სტრუქტურა და თვითდასაქმებულების დაბალი პროდუქტიულობა. საქართველოში დასაქმების სექტორულ ჭრილში გაანალიზება იძლევა არაერთგვაროვან სურათს სოფლის მეურნეობაში, მრეწველობასა და მომსახურებაში დასაქმების მხრივ. ქალაქსა და სოფლად უმუშევრობის დონეებს შორის მკვეთრი სხვაობა აიხსნება სოფელში თვითდასაქმების მაღალი მაჩვენებლით. სოფლად დაბალია ბიზნესის აქტივობა, შესაბამისად დაბალია დაქირავებული შრომა და მაღალია თვითდასაქმება.
- ქალების უმუშევრობის დონე საგრძნობლად დაბალია მამაკაცების უმუშევრობის დონესთან შედარებით, რაც აიხსნება ქალებთან შედარებით მამაკაცების აქტიურობის დონის მაღალი მაჩვენებლით.
- საქართველოში აქტიურად ვითარდება მომსახურების სფერო, რაც იწვევს ამ მიმართულებით სამუშაო ძალის მოთხოვნას. შესაბამისად, ისეთი სექტორები, როგორიცაა საფინანსო მომსახურება, ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა,

ტურიზმი ბოლო წლების განმავლობაში სწრაფად მზარდ დარგებს წარმოადგენენ. ამ კუთხით, ასევე საყურადღებოა ისეთი პრიორიტეტული სექტორის განვითარება, როგორიცაა Business Process Outsourcing (BPO). ამ სექტორების ზრდის ტენდენციებიდან და დაგეგმილი ინვესტიციებიდან გამომდინარე, მოსალოდნელია ამ დარგების შემდგომი განვითარება, რაც ერთი მხრივ მოითხოვს სექტორში წარმოდგენილი დასაქმებულების კვალიფიკაციის დონის ამაღლებას პროდუქტიულობისა და ხარისხის ზრდისათვის, ხოლო მეორე მხრივ, მომავალში დამატებით გაზრდის მოთხოვნას სამუშაო ძალაზე;

- კაპიტალის ბაზრის რეფორმა და დაგროვებით საპენსიო სისტემაზე გადასვლა, ასევე დაზღვევის სფეროში მიმდინარე ცვლილებები თავის მხრივ გაზრდის შრომის ბაზარზე შესაბამისი პროფილის მაღალკვალიფიციურ კადრებზე მოთხოვნას;
- მაღალკვალიფიციური კადრების საჭიროება გაჩნდება ეკონომიკის რეალურ სექტორშიც, კერძოდ დაგეგმილი ინვესტიციების და კაპიტალური ხარჯების ფონზე, რომლის ფარგლებშიც იგეგმება მნიშვნელოვანი პროექტები ენერგეტიკის სექტორში, დამამუშავებელ მრეწველობაში, ახალი სატრანსპორტო ქსელის მშენებლობასა და ქვეყნის ზოგად ინფრასტრუქტურაში გაზრდის მოთხოვნას კონკრეტული კვალიფიკაციის დასაქმებაზე, მათ შორის ინჟინრებსა და არქიტექტორებზე.
- რაც შეეხება სოფლის მეურნეობას, ამ დარგში დასაქმების მაღალი მაჩვენებლის მიუხედავად დარგის პროდუქტიულობა ძალიან დაბალია და შედეგად მცირეა დარგის წილი მთლიან შიდა პროდუქტში. სოფლის მეურნეობისათვის უმთავრეს საკითხს წარმოადგენს მაღალი ტექნოლოგიების დანერგვა, რამაც შესაძლოა ერთი მხრივ გამოიწვიოს კადრების გადადინება სხვა სექტორებში, ხოლო მეორე მხრივ განაპირობოს მაღალკვალიფიციურ კადრებზე მოთხოვნა.

რეკომენდაციები

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობის მიზნით კერძო სექტორის აქტიური ჩართულობა პროფესიული განათლების სასწავლო პროგრამების შემუშავების პროცესში;
- სამუშაოზე დაფუძნებულ სწავლებაზე გადასვლის მიზნით კერძო სექტორისა და პროფესიული სასწავლებლების თანამშრომლობის წახალისება;
- ახალგაზრდებში პროფესიული განათლების იმიჯისა და მიმზიდველობის გაუმჯობესება/პოპულარიზაცია (წარმატებული მაგალითების შესახებ სარეკლამო რგოლები, პროფესიული განათლების მიმართ დამკვიდრებული

ძველი სტერეოტიპის მსხვრევის მიზნით შემუშავებული სარეკლამო რგოლი/სხვა საშუალებები);

- ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე აღიარებული პროფესიული კვალიფიკაციების სისტემის ჩამოყალიბება;
- კერძო სექტორის ცნობიერების ამაღლება დასაქმებულთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით გაწეული ხარჯების ეფექტიანობა/უკუგებასთან მიმართებით;
- სასკოლო პროცესში ახალგაზრდებისთვის სამეწარმეო უნარების დაუფლების ხელშეწყობა. სკოლის ეტაპიდან ახალგაზრდებში სამეწარმეო კულტურის ჩამოყალიბება, დადებითად აისახება წარმატებული ბიზნეს ორგანიზაციების შექმნაზე.
- ქვეყანაში მაღალტექნოლოგიური პროდუქტების შექმნისა და მათზე ორიენტირებული დასაქმების უზრუნველსაყოფად, ზუსტი და საბუნებისმეტყველო (მათემატიკა, ფიზიკა და სხვა) და ტექნიკური მეცნიერებების (ინჟინერია, არქიტექტურა და სხვა) განვითარების ხელშეწყობა და ახალგაზრდების წახალისება მათი დაუფლების მხრივ.